№ 163 8 მარიამობისთვე ოთხშაბათი 1866—1879 8 მარიამობისთვე ოთხშაბათი № 163

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ციცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბალის (სადოვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — **ხუთი** მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 3 აგვისტოს. „ახალ დროებას“ აცნობებენ, რომ ვითომ ვარშავის ღენერალ-ღუბერნატორად იქნება ტოტლებენი, დროებითად ნოვოროსიისა — იგნატიევი.

ვენა, 3 (15) აგვისტოს. იმპერატორმა მიიღო ანდრაშის სამსახურიდამ დათხოვნა.

ლონდონი, 3 (15) აგვისტოს. პარლამენტის სესსია გადაიდო კოროლევის სიტყვით, რომელშიაც გამოთქმული იყო, რომ ინგლისის დამოკიდებულება უცხო ქვეყნების სახელმწიფოებთან კეთილ განწყობილებიანი იქნება. კოროლევა ცდილობდა, რომ იმის სიტყვებს გავლენა ჰქონოდა პირობების მტკიცეთ ასრულებაზედ, საზოგადო მშვიდობიანობაზედ და ყოველივე ვალდებულებების დაცვაზედ.

ბერლინის ტრაქტატის პირობები სისრულეში მოდიან; ახალი მიჯნების დანიშვნა თითქმის გათავდა; აქამდისინ ოსმიანოსის შედეგები უშლიდნენ აუცილებელის რეფორმების შემოღებას, რომლებიც ოტტომანის სამმართველომ საჭიროდ დაინახა, მაგრამ ინგლისის სამმართველო ურჩევს, რომ იმან ტრაქტატის პირობები აასრულოს. კოროლევას სიტყვით, ეგვიპტეში ახალი სამმართველოს დაარსების შემდეგ, ინგლისსა და საფრანგეთს შუა უნდა არსებობდეს თანხმობა. საბერძნეთის შესახებ კოროლევას სიტყვებში არაფერი არ იყო თქმული.

საქართველო

მიწა-წყლის გამიჯვნის გამო

ყველგან, და ნამეტნავ ჩვენში, მიწა-წყალს აქვს ერთი უძლიერესთაგანი, უდიდესთაგანში უდიდესი მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში. მსოფლიო ისტორია თვალ-საჩინო ფაქტებით გვიმტკიცებს, რომ მიწა-წყალი და მისი შემუშავება, ე. ი. მეურნეობა, არის მძლავრი მიზეზი ძლიერ სამეფოთა დაარსებისა და მტკიცე საფუძველი ჭკუა გონების წარმატებისა.

ესვე მიზეზი გახლდათ ჩვენი ერის შეკავშირებისა, საქართველოს სამეფოის დაარსებისა, მისი დიდებისა და წარმატებისა, — მაშასადამე იგი ყოფილა ისეთი ძალა, რომელსაც ქართველნი თაყვანს უნდა ვცემდეთ.

მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრება იმ რიგად იყო მომართული ოთხკუთხივ შემოფარგლულ მტერთ-წყალობით, რომ ჩვენ არ შეგვეძლო ალებმიცემობაში გავრთულ ვიყავით არა თუ იმდენად, რომ მით შეგვეძლებოდა ცხოვრებისთვის საკმაო შემოსავალი მოგვეპოვა, არამედ როგორც სა — „სხვათა შორის“-ო ხელობისთვისაც; ჩვენ არ შეგვეძლო აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელობა და ხელთ-საქნარობა იმდენად წარმატებაში შეგვეყვანა, რომ იგინი გაგვეხადა საკვეხავ საშუალებათ ხალხის ერთის ნაწილისთვის მაინც. პირიქეთ, ყველა ამაებისთვის ჩვენ უცხო ქვეყნელებთაგან ვსაჭიროებდით. მხოლოდ მიწის შემუშავებით ვცხოვრებდით და მითი ვირჩენდით თავს.

ამ საქმეში კი იმდენად დახელოვნებული ვყოფილვართ, რომ უცხო ქვეყნელებს ჩვენთვის დაურქმევიათ და დღესაც გვიწოდებენ — „მიწოგიანელებად“ (რომელიც ჰნიშნავს მიწის მუშაკთა). ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი ხალხი ერთობ ძვირად აფასებს მიწა-წყალს და სახელადაც მას „დედა“ მიწას უწოდებს.

ეს მნიშვნელობა მიწა-წყლისა ჩვენი ხალხისთვის დღესაც იგივეა, რადგანაც ჩვენი ცხოვრება საზოგადოდ, და სოფლელ მცხოვრებთა განსაკუთრებით, თითქმის უწინდელსავე მდგომარეობაშია და იმდენად არ წარმატებულა, რომ სხვა-და-სხვა ხელოვნებას ფესვი გაედგას ჩვენში.

ამის შემდეგ ადვილად გასაგებია იგი აღტაცება, რომლითაც ქართველობა მიეგება რუსის მმართებლობის ბრძანებას, რომ სათანადო პირები შეუდგნენ მიწა-წყლის გამიჯვნას საქართველოში და ყველა მემამულეს მიუჩინონ კანონიერად განსაზღვრული მისი უძრავი მამულიო. ყველა მამულის პატრონს ეგონა — თუ გამიჯვნის მოხელენი უყალ-მაყალოთ, თვინიერ ყოვლის ხარჯისა, ჩააბარებდნენ მათ რიგიანად განსაზღვრულს მამულს; მაგრამ მწარედ შესცდნენ ამ თავიანთ ტკბილ იმედებში. გამიჯვნის გამო მიწა-წყლის მეპატრონეთა შორის გამოწვეულ აყალ-მაყალ და ხარჯს ბოლო აღარ აქვს. ამის მიზეზნი გახლავთ:

1) გამმიჯვნელი მოხელენი, რომელნიც არ ხელმძღვანელობენ გამიჯვნის წესდების იმ მუხლებით, რომელნიც ჩვენთვის საგანგებოდაა შეტანილი მასში;

2) სახელმწიფო ქონებათა სამმართველო, რომელიც სარგებლობს რა იმით, რომ მას არსად არავითარი ხარჯი არ ხდება საქმის წარმოებისთვის, ყველა მიწის მეპატრონეთა (ეზოსი და ზოგიერთ ნაჭერ მიწის გარდა) ედავება ყველა მიწებში, აცხადებს მათზე საჩივარს გამმიჯვნელ მოხელეებთან, რომელნიც მას მხედველობაში იღებენ და, რადგანაც ჩვენთვის შეტანილ მუხლებს გამიჯვნის წესდებისა არ ასრულებენ, ერთობ ხშირად წააგებინებენ ხოლმე მემამულეთა მათ მამულებს;

3) ხარჯის გადუხდელობის გარდა, ერთი მიზეზთაგანი, რომელიც აიძულებს სახაზინო ქონებათა სამმართველოს უგზო-უკვლოდ დავების დაწყებისთვის, გახლავს იგი გარემოება, რომ მას, სიზარმაცის წყალობით, დღემდის არ აქვს სახელმწიფო მიწა-წყლის ინვენტერის წიგნები, თუმცა თითქმის ¾ საუკუნეა მას აქეთ, რაც რუსეთის მმართებლობა არის ჩვენში.

შეიძლება ამ მიზეზების მოსპობა, რომელიც იმ დროსვე იქნება გამიჯვნისაგან გამოწვეულ დავი-დარაბების მოსპობაც? — ძალიან ადვილად. საჭიროა მხოლოდ პირველი ორი მიზეზი მოვსპოთ და მესამე თვით გაქარწყლდება. აი საქმე როგორაა და რაშია:

გამიჯვნის მოხდენის განკარგულება ჯერ რუსეთში მოხდა და მერმე ჩვენში. როდესაც ჩვენშიაც მოჰკიდეს ხელი მო-

ეროვნული

წა-წყლის მიჯვნას, უმაღლეს მმართებლობამ საჭიროდ დაინახა გამიჯვნის წესდებულებაში, (რომელიც რუსეთისთვის იყო დაწერილი), რამდენიმე უმთავრესი მუხლები სრულიად შეეცვალა, რადგანც მიწა-წყლის საკუთრების საქმე საქართველოში სულ სხვანაირი იყო, ვიდრე რუსეთში. ამ მუხლების ძალით, თუ ქართველი მემამულენი სანოტარიალო ან და ყოფილა იმერეთის და ქართლის დროებითი მმართებლობების ოქმებს ვერ წარმოადგენენ და თავის უფლებას მიწა-წყალზე დამყარებულ მეფეთა სიგელებზე ან სხვა რამე ძველს საბუთზე, რომლებშიაც ოთხ-კუთხივი საზღვრები არასოდეს არაა ნაჩვენები,—მაშინ უნდა წარმოადგინონ მოწმეების უწყებელი რიცხვი, რომელთაც უნდა აჩვენონ, რომ ესა-და-ეს მიწა ამა-და-ამ საზღვრებში სწორედ ამა-და-ამ პირს ეკუთვნისო.

ამ ყოველად გონიერს კანონს გამიჯვნელები არ ასრულებენ და თხოულობენ მაინც-და-მაინც სანოტარიალო ან და ყოფილა დროებითი მმართებლობების ოქმები წარმოადგინეთო.... ამ რიგი ოქმები კი ხუთასში ერთს არ აქვს ჩვენში!

მაგრამ, ვთქვათ, გამმიჯვნელ მოხელეებმა სახელმძღვანელოთ მიიღეს ზემოხსენებული მუხლები. მარტო ამით საქმეს არა ეშველება-რა, თუ სახაზინო ნაკლებათა სამმართველოის უსაფუძვლო და განუსაზღვრელ საჩივრებს ბოლო როგორმე არ მოეღო. როცა რომელსამე მაზრაში მიჯვნა იწყება, ნახსენები სამმართველო იმწამსვე მთელს გასამიჯნავს მაზრაში (რაიონში) ყველა მემამულეებზე საჩივრებს იწყებს და ედავება მათ მათს საკუთრება მამულებში, მემამულეებს კი ზემოხსენებული ოქმები არა აქვთ და სხვა რიგ საბუთებს მოწმეებით დამტკიცება უნდა, და მოწმეებიც ვეღარ უშოვნიათ, რადგანც ყველა იმ მაზრაში მცხოვრებნი გარდაყენებულნი არიან მოწმობისაგან!!

ჩვენის აზრით ამ მიზეზების მოსასპობლად საჭიროა:

1) რადგანც სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ერთობ აქეზებს ის გარემოება, მრავალ დავების დაწყებისათვის, რომ მას წარმოებისათვის არსად არავითარი ხარჯი არ ხდება,—მასაც ისე და იმ რიგი გადასახადი დაედოს, როგორც სხვა სახელმწიფო უწყებებს აღვია. მაშინ იგი, იმედია, უფრო წინდახედულად მოიქცევა და ისე უგზო-უკვლოდ არ დაიწყებს მემამულეთა დამლუპველის დავებს;

2) ის მოხელეები, რომელთაც სახ. ქონ. სამ. აგზავნის გასამიჯნავ მაზრაში მემამულეთა წინააღმდეგ დავების დასაწყებად, უფრო სვინიდისიან, საპატიო კაცებისაგან ამოარჩიონ, რადგანაც მათ ბევრი უფლება აქვთ და სრავალ სიკეთესთან მრავალი ვნების მოტანაც შეუძლიათ. ბევრი მაგალითები ყოფილა და დღესაც, როგორც ხალხი ამბობს, ხდება ამ გვარი საქმეები: იმათაც ვისაც ყოველად—კანონიერი ოქმები აქვთ თავიანთ მამულებზე, ზემოხსენებული მოხელენი აშინებენ დავის დაწყებით, და თუ მემამულემ „აბი“ არ გადააყლაპვინა, თავის ქადილს მართლადაც ასრულებენ. რადგანც არც მათ და არც სახქონ. სამმართველოს ამით არაფერი ეხარჯება.

3) მოწმეებს ჩვენება ჩამოართვან ოლქის სასამართლოის სამმა წევრმა, როგორც მოხსენებულია გამიჯ. წესდებულებაში და არა ერთმა, როგორც დღეს ჩვეულებად შემოუღიათ ჩვენში.

4) მოწმეების კითხვის დროს დაესწროს ორივე მხარენი, როგორც მომჩივანი ისე მოპასუხე, რადგანც, ეხლანდელ გამიჯ. წესდების ძალით, არც ერთს მხარეს არა აქვს უფლება დაესწროს მოწმისაგან ჩვენების მიცემის დროს, რომ მისცეს მას რაიმე კითხვა საქმის ასახსნელად. ამის წყალობით ბევრი მამული ნამდვილი პატრონის ხელიდგან სახაზინო ქონებ. სამ. ხელში გადასულა და კიდეეაც გადადის. მით უფრო საკურველია ამ მუხლის შეცვლა გამიჯ. წესდებაში, რომ ის პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ახლად დადგენილს საამართლო წესებს.

ბარდა ამისა მიწა-წყლის მეპატრონეთ ჰლუპავს შემდეგი უკანონო მოქცევა ოლქის სასამართლოისა. კანონის ძალით, თუ ერთი ვინმე მეორეს უჩივის, მაშინ თავის სიმართლე მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს და არა მან ვისზედაც ჩივიან. ეს ყოველად სამართლიანი კანონია. ოლქის სასამართლო კი ამის წინააღმდეგ იქცევა და ნამდვილ-მფლობელ მიწის მეპატრონეთა, რომლებსაც სახაზინო ქონ. სამ. დაუდავი მიწა-წყალი, იძულებულს ხდიან თვითონ მათ დაამტკიცონ თავიანთი კანონიერი უფლება. ამ რიგად მომჩივანს მფლობელის უფლებას აძლევენ და მფლობელს კი მომჩივნის მდგომარეობაში აგდებენ.. ამით სახაზინო ქონ. სამმართველო კიდეე უფრო ქეზდება, უკანონო დავებს დაწყებისთვის...

ველა დამეთანხმება, რომ ეს ჩვენგან აღძრული საგანი არის არსებითი საქმე ჩვენის ხალხისა, რომლის კეთილ-დღეობა მისს რიგიანად გარდაწყვეტილებაზედაა დამოკიდებული. ამიტომაც მიგვიქცევია ვისიც ჯერ არს მისი ყურადღება ამ საქმის გარემოებაზე; საჭიროა მოისპოს ზემოხსენებული უკანონო მიზეზები, რომელთაც ჩადიან უკვე ნახსენები დაწესებულებანი, და მით დაიდუმოს იგი საშინელი დრტვინვა, რომელიც დღეს მთლად მოდებულია ჩვენს ხალხში გამიჯვნის საქმის ამ რიგად

ი. ჯყონია

ქუთაისი, 3 აგვისტოს.

დღიური

*** ქვირას, 5 აგვისტოს, შუადღის შემდეგ 4—5 საათზედ გაუჩნდა ცეცხლი ივ. ამირაღოვის სახლებს, სერგიევის ქუჩაზედ. სრულის თავისის სიუხვით ედებოდა გაძრიელებული ცეცხლი ძირის სართულს, როდესაც ჩვენ მივედით სანახავად. მთელი შიგნით გული ამირის სახლებისა ბალკონებით გარემოცულნი იყვნენ ალითა, რომელიც, მსგავსად შეუპოვარი ზვირთებისა, უქადდა შენობას მსწრაფლ შთანთქმა. ხალხი აუარებელი მოგროვებულიყო საცქერლად და მთელი ეს ქუჩა აფეიქიდამ მოყოლებული ერეკლე ბატონიშვილის სახლამდი ისე მჭიდროთ დაეჭირა, რომ კაცს გაელა უჭირდა. ჯერ არსადა სჩნდა ჩვენი ცეცლის საქრობი კამანდა, რომ კერძო პირები ტრიალებდნენ ქუჩისკენ ოთახებში და სიჩქარით ჭგლეჯდნენ კარებს, ფანჯრებს, განჯინებს, სტავნებს და სხვ. ამაზედ მეტი ფაცა-ფუცი და ხრიანცელი იყო მეზობელ სახლებში, სადაც ერთის მხრით სახელმწიფო ბანკის განყოფილებაა და მეორე მხრით სხვა და სხვა მდგმურები, რომელთა შორის „შკოლების თანამშრომელი“ საზოგადოების კომისიონერს მეორე ეტაჟაში ჰქონდა სასწავლებლების ნივთების სკლადი. დიდის სიჩქარით მოასწრეს გამოტანა სახლის სხვა და სხვა მოართულობისა, რომელიც ქუჩის პირად ეყარა გაოხრებული. ამ დროს მოვიდა კამანდა, მაგრამ გვიანლა იყო. ცეცხლი ღუღუნით სახურავს ეხვეოდა და ჰაერში ჰფანტავდა ნაპერწკლებს. ვერა უშველა რა კამანდამ ამ სახლებს, თუმცა კი ჰხმარობდა ყოველივე ღონის ძიებას. როგორც მაცქერალი ხალხის მათრახებით დაფრენა ემარჯვებათ ამათ, იმის ნახვერად რომ საქმის გაკეთება შეეძლოსთ, რაღა გვიშავდა!

ერთი ბეწვა საქრობი მაშინები სრულიად უღონოთ რჩებოდნენ ღონიერ ცეცხლთან. ამას გარდა წყალის სიშორეც მეტად ხელს უშლიდა იმათ.

რამდენჯერ თქმულა გაზეთებში ამ მაშინების უქონლობაზედ! რამდენი რჩევა მიუციათ ერთი რიგიანი მაშინის შეძენაზედ; მაგრამ ვინ შეუშვა ყურში ან ერთი, ან მეორე! რამდენი ლაპარაკი და კითხვები ჰყოფილა ქალაქში წყლია გამოყვანაზედ, მაგრამ ლაპარაკათ დარჩა და წყალი ისევ სანატრელია!

კარგი მაშინა და ახლო წყალი საჩქაროდ გააქრობდა ცეცხლს და იმედს მისცემდა ახლო-მახლო მცხოვრებლებს, რომ უშიშრად ჰყოფილიყვნენ. ახლა კი, როცა კამანდის იმედი არავის არ აქვს, ყველა დაუზოგველად ჰყრიდა თავის სახლიდამ ქუჩაში, რასაც კი ხელი მოეევლებოდა! „შკოლების მზრუნველს,“ მაგალითად, თითქმის სრულიად უვარგისად გაუხდა წიგნები, რვეულები, ქალალდები, სახაზავები, სურათები, ასოები და სხვა აუარებელი სასწავლო ძვირფასი ნივთები, რომლებსაც მაღლიდგან ყუთებითა და უამათოთ პანტასავით ჰყრიდნენ ქუჩაში და სთელამდნენ ფეხებით.

ღამის თერთმეტი საათი იყო, როცა გაძრიელებული ცეცხლი ისევ ტრიალებდა. დაიწვა სრულიად ამირაღოვის სახლები. კამანდისა და ხალხის მეცადინეობით და იმის მეოხებით, რომ ამ ღამეს კარგი ლაზათიანი წვიმა იყო, სხვა ახ-

ლო-მახლო სახლები გადარჩნენ.

მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ ვერ შევიტყვეთ. ამბობენ,—თუმცა კი სინამვილეში ეჭვი გვაქვს,—რომ ცეცხლი ორს, თუ ერთს პატარა ბავშვებს მოსდებია, მაგრამ საჩქაროდ გადაუნარჩუნებიათ და მხოლოდ სხეულის რამოდენიმ ნაწილი დასწვიათო. ზარალი, თუმცა ნამდვილათ არავინ იცის,—დიდი მოხდა.

ცეცხლი მეორე დღესაც ედებოდა დანგრეულ შენობას.

*** ჩვენ გავიგეთ, რომ ქუთაისის მარჯვენა მხრის ე. ი. მთელ მდლოპ ადგილებზედ მცხოვრებლებს ერთად უთხოვნიათ იქაური ქალაქის თავისთვის, რომ ან სულ გამორიცხონ ეს უბანი ქალაქის ნაწილიდამ და განთავისუფლონ ყოველივე საქალაქო ხარჯებიაგან და ან კარგის გზით შეაერთონ ის ქალაქთან ისე, რომ ფაიტონით შეიძლებოდეს მისვლა-მოსვლაო. ამბობენ, რომ ქალაქის თავი უარზედა სდგას ამგვარ მოთხოვნილობაზედაო.

*** ზორიდამ გვწერენ, რომ იქ სრულიად დაუსრულებიათ ფარნები და ქალაქი ახლა ყოველ ღამ განათებულიაო, მაგრამ ბევრი ქუჩები დარჩობილა უფარნოთ!

ძლივს ამას მოვესწარით, მაგრამ, როგორც გვაცნობებენ, ფარნებს ვერ აქვს რიგიანი ქუჩები.

იმედია იქაური უპრავა ამასაც ყურადღებას მიაქცევს!..

*** სიღნაღიდამ გვაცნობებენ, რომ „ს. ვაქირში იქაურ მღვდელს დ. ხელაევს ჰქონია „პალმასობის“ ავტორისა და ნაცვალოვის პორტრეტები.

„ვისაცა სურს ამ სახების გადაღებაო, იწერება კორრესპონდენტი: „ჩემზედ მოვართოს სიღნაღში და მე ვუჩვენებო.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 5 აგვისტოს. „ფურიანის შემდეგ ზღვაზე ყოველთვის მყუდროება არისო“—ნათქვამია;—ეს სიტყვა საზოგადოთ კაცის ცხოვრებაზედ და კერძოთ ქუთაისის ცხოვრებაზედაც მართლდება ხოლმე. იმ ფურთნისა, ტალღისა, მიჯახებ-მოჯახების შემდეგ, რომელიც წარმოსდგება აქ კენჭის ყრის დროს, ბანკისა და თავად-აზნაურთა საზოგადო კრების დროს, თითქმის ყოველთვის შეიქნება სრული მყუდროება, მშვიდობიანობა, იდილიური ცხოვრება; გუშინდელი დაუძინებელი მტრები დღეს ერთმანეთს ტკბილად ულრეჭენ; ვინც გუშინ სამარეს გითხრიდა (ე. ი. შავი კენჭი ჩაგიგდო), დღეს პირველ მეგობრად გიხდება. და ასე მიდის საქმე ახალ კენჭის ყრამდინ, ახალ კრებამდინ. ამ ნაირია იმერლის ხასიათი!..

ამ ნაირად ჩვენს პატარა, მაგრამ ლამაზად ამწვანებულ და აყვავებულ ქუთაისში ამ ჟამად სრული მყუდროება და მშვიდობიანობაა.

საზოგადო მშვიდობას არღვევენ მხოლოთ რამდენიმე „ნაფიცი“ ლოთები და მოქეიფეები, როგორც მაგალითად ბ—შვილი, ლ—ძე და სხვა ამისთანები, რომელნიც კვირაში ორჯერ, სამჯერ ლაზათიანად ჩათვრებიან, ქუჩა-ქუჩა სიმღერითა და ყვირილით დაიარებიან ხოლმე და მშვიდობიან მოქალაქეთა მშვიდობიან ძილს უფრთხობენ...

ხანდის-ხან მოდიან აგრეთვე ჩვენს ქალაქში ზოგიერთი დაბნეული მაწანწალა აქტიორები და მომღერლები; ამ მოკლე ხანში, სხვათაშორის, იყვნენ პრავდინი და დეკერ-შენი, ვეინბერგი და პრასოვსკისა, პალმის ტრუპპაში ლაქიის როლების მოთამაშენი და სხვები; გამართეს თითო-ოროლა წარმოდგენები და კონცერტი და წავიდნენ. მაგრამ ამათ ჩვენი ჩვეულებრივი მყუდროება არ შეურყევიათ.

სხვებრ ჩვენი ცხოვრება თავის რიგზედ და თავის წესით მიდის. ყველა თავის თავისთვის არის; ყველა მხოლოდ თავის ცხვირ-წინ იხედება და ისე იქცევა; ნელ-ნელა მუშაობენ, წყნარად, უჩინრად არიგებენ თავის საქმეებს და ცხოვრობენ; ცხოვრობენ ვითარცა თხუნველა (მუდუ) თავის სოროში.

და ვითარცა თხუნველა, ისეც შენდებიან, მსწრაფლად და უჩინრად აშენებენ სადგომებს, სახლებს. მართლა გასაკვირველია, რომ სადაც არ გახედავ და ვისაც არ შეხედავ, ყველგან და ყველა სახლებს და მაღაზიებს აშენებს ამ ჟამად ქუთაისში. ვინც ადრე თავის სახლ-კარს აგირავებდა და ჰყიდდა, ახლა ორ-სამ ეტაჟიან სახლებს ჰჭიმავს; ვისაც გუშინ ლუკმა პური და თავშესაფარი უჭირდა, დღეს ქალაქის საუკეთესო ადგილზე მაღაზიებს ჰმართავს!

მაგრამ ამ შემთხვევაში ესრედ წოდებულ ღოღაბერიძეების პარტიამ ყველას აჯობა: ყველა „ან-შეჭები“ ამ პარტიისა სახლებსა და მაღაზიებს აშენებენ; უფ. ნიკ. ღოღაბერიძე ჩინებულ მაღაზიებსა და ზემოთ სახლებს აშენებს სილაზე (ქვიშაზე არ გეგონოთ,—კარგ მაგარ საფუძველზე), იმის უფროსი ძმა უფ. ზ. ღოღაბერიძე თავის ძველ მაღაზიებთან ბულვარის პირ-და-პირ ახალ მაღაზიებს და, როგორც ამბობენ, პასაჟს აკეთებს; მესამე “ან-შეჭი“ ამ პარტიისა უფ. ანტ. ლორთქიფანიძე აგრეთვე მაღაზიებს აშენებს და სხვა. კარგი ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა, ამ პარტიის „ან-შეჭობა“!

საიდამ და რისთვის შენდება ამდენი სახლები და მაღაზიებიო,—მკითხავთ? მაგის კი რა მოგახსენოთ. ამბობენ ომიანობის შემდეგ ბევრი ფული დარჩა ჩვენს ქვეყანაშიო და იქიდამაო; სახლები გაძვირდა და იმისთვისაო. მაგრამ ამ ზემოხსენებულ „ან-შეჭებმა“ რომელ ომში და ბრძოლაში შეიძინეს ფული,—ეს ვერ გამიგია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისს ჰსურს ისარგებლოს იმ გარემოებით, რომ ინჟინერები უფ. უჰანსკი და პაპოვი ჩამოვლენ თფილისში ქალაქის პლანისა და წყლის გაყვანის პროექტის შესადგენად და აქაც ამავე განზრახვით, უნდა მოიპატიჟონ ისინი. ქალაქის რჩევამ ამოირჩია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოკვლევა და დანიშნვა ქუთაისის ქალაქის საზღვრებისა, რადგან უამისოთ არც პლანის გაკეთება შეიძლება და არც წყლის ზაყვანის პროექტისა.

მეორე ახალი ამბავი კიდევ უფრო ყურადღების ღირსია: აქ ლაპარაკობენ ახალი ქართული გაზეთის გამოცემაზედ; კვირის გაზეთი იქნებაო, ან კვირაში ორჯერ გამოვაო. ამ მომავალ გაზეთის რედაქტორად თ. დ. მიქელაძეს ასახელებენ, რომელსაც ამ საქმის ინიციატივაც ეკუთვნის.

საოსტატო სემინარიის საქმე, რომლის დაარსება გარდაწყვეტილია ჩვენს ქალაქში, ჯერ არ წაწეულა წინ; დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის მობრძანებას ელოდნენ და ახლა, რადგან ის მობრძანდა, ამ საქმის კეთილად დაბოლოვებას ამ ენკენისთვეში მოელიან.

ამ უკანასკნელ დროს აქეთკენ რამდენიმეჯერ იყო წვიმები. სიმინდისა და ღომის მოსავალს ამის გამო კარგს მოელიან; გასულ გოლვამ ამ ნამუშევარს მაინც-და-მაინც ბევრი ვერა დააკლო-რა; მაგრამ პურს, სადაც კი ჰქონიათ დათესილი, და ვაზს ამ გოლვამ ბევრი ზიანი მისცა; პურის მარცვალი პატარა, თითქო ღლე-ნაკლული გამოვიდა და ყურძენს ნაცარი მიაყარა და რაღაც შავ-შავი ლაქები გაუჩინა.

განცხადებანი

„ბათუმი“

ახალი სასტუმრო ქუთაისში.

ახლად გახსნილის ქ. ქუთაისში ბათუმის სასტუმროს მასპინძელი ვაცხადებ პატივცემულის საზოგადოების საცნობლად, რომ მე გავათავე ყველა ახალი მოშენებული ოთახები ჩემის სასტუმროისა და ფასებიც შევამცირე, ასე რომ 33-ს ოთახში, რომელიც ჩემს სასტუმროში არის, ზოგი 50 კაპეიკად ღირს, ზოგი 70 კაპ., ზოგი 1 მ., 1 მ. 50 კაპ., 2 მან. და 3 მან. ამასთანავე სასმელ-საჭმლის ფასიც დავამცირე. აქტიორებს და სხვა მოთამაშებთაგანს მეათედ ფასს ვუკლებ ყველაფერზედ.

ზ. ბარძიმიშვილი.

(3—3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ლ ა ნ ს ი
თფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა

1 Ивлисъ 1879 წ.

აქტივი.

1) ნაღდი ფული კასსაში. . . .	1,252	28		
2) გირაოს ფურცლები გადამავ. .	1,600	—	2,852	28
მომდინარე ანგარიში:				
ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში	60,667	37		
ბ) თფილისის კომერუ. ბანკში.	369	60		
გ) თფილისის ურთიერთ კრედიტ. საზოგადოებაში	7,772	62		
დ) ბანკირს მაიერთან და კ-მ პეტერბურგში	45,532	90	114,339	49
3) ქორრესპონდენტები:				
ა) ქორრესპონდენტები . . .				
4) საწევრო შემოტანილი ფული თფ.საურთიერ. კრედ.საზოგადოებაში	—	—	30	—
5) შესატანი:				
6) სახელმწიფო და მართებლობისაგან უზრუნველ ყოფილი ბილეთები, რომელნიც ინახებიან:				
ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (78,000)	70,697	55		
ბ) ბანკის კასსაში (25,200) . .	25,029	38		
7) ბანკის საკუთარი პროცენტის ბილეთები (2000)	1,852	01	97,578	94
8) ხანგრძლივი სესხი, გაცემული:				
ა) მიწის გირაოს ქვეშ 54½ წ.	493,100	—		
ბ) „ „ 43½ წ.	299,000	—		
გ) „ „ ქალაქში.				
უძრავი ქონება 27½ წ. . . .	569,600	—		
ქალაქელ უძრავი ქონების გირაოთ:				
18 წ. 7 თვე	21,200	—	1,382,900	—
9) ხანგრძლივი სესხი, რომელიც უნდა გაიცეს:				
10) ხანგრძლივი სესხი, რომელიც არ მიიღეს მსესხელებმა:				
ა) მიწის გირაოს ქვეშ.				
ბ) ქალაქელ უძრავ ქონების ქვეშ				
11) უდროოთ სესხის გარდახდა:				
ა) გირაოს ფურცლებით. . .	—		5,500	
ნაღდათ	—		—	—
12) მოკლე დროის სესხები . .	—		86,485	—
13) გირაოს ფურცლები საკომისიოთ აღებული (87,800) . . .	—		73,673	—
15 მსესხებლები:				
ა) მსესხ., რომლთაც ლგოტი აქვს (§ 14 უსტ. ხანგრ. სესხ). .	44,269	42		
ბ) „ მოკლე ხნის სესხ. . .	1,735	18	46,004	60
15) დროს გარდაცილ. გარდასახადი	—	—	6,354	75
16) დაბრუნებული ხარჯი . . .	—	—	2,208	61
17) ხარჯი:				
ა) მოსაწყობლად და გასამართავად	3,581	88		
ბ) სამმართველოდ და ჯამაგირად	10,576	64	14,158	52
ბალანსი .	—	—	1,832,084	19

პასსივი.

1) ძარის სათავნო ფული				
ა) ხანგრძლივი სესხისათვის .	162,666	74		
ბ) მოკლე ხნის სესხისთვის. .	109.231	12	278,897	97
2) ზაპასნი კაპიტალი	—	—	9,963	31
3) საზოგადო საჭიროების კაპიტალ	—	—	14,842	61
4) ექსტრაორდინალური კაპიტალ	—	—	4,673	34
5) გირაოს ფუცლები გამოცემული				
54½ წლის	493,100	—		
43½ წ.	299,000	—		
27½ წ.	569,600	—		
18 წ. და 7 თვე	21.200	—	1,382,900	—
6) გამოსაშობი გირაოს ფუცლები:				
54½ წ.				
43½ წ.				
27½ წ.				
7) გირაოს ფურცლები გასაუქმებელი				
8) უდროოთ სესხის შეწყვეტა:				
ა) გირაოს ფუცლებით . .	5,500	—		
ბ) ნაღდი ფულით	150	09	5,650	09
9) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსული და გარდასახადათ ჯერ არ წარმოდგენილი	—	—	13.300	—
10) გირაოს ფურცლების კუპონები გარდასახადი	—	—	38,022	—
11) პროცენტის ფონდი . . .	—	—	41,487	—
12) გასაუქმებელი ფონდი 54½ წ.	548	42		
43½ წ	929	98		
27½ წ	5467	28		
18 წ. და 7 თვე	473	49		
13) გადამავალი ფული . . .	—	—	7,419	17
14) სხვა-და-სხვა კრედიტორები .	—	—	9,989	31
15) ქორრესპონდენტები:				
16) მსესხებლები	—	—	3,449	67
17) დაფასებისთვის საჭირო ფონდი	11,087	53		
18) მოკლე ვადის სესხის პროცენტები	2,578	03		
19) ჯარიმის ფული	1,507	—		
20) სხვა-და-სხვა პროცენტები .	4,637	16	19,809	72
21) გაუცემელი დივიდენდი . .	—	—		
22) სარგებელი გადმოწერილი 1878 წლიდამ და გადასახადი უსტავის § 90 ძალით.	—	—	1,680	—
ბალანსი .	—	—	1,832,084	19

თავმჯდომარე თ. ი. ჭავჭავაძე
წევრნი თ. დავით ავალიშვილი
თ. სუმბათოვი

ბუღალტერი ხ. ჩ ტურიანც.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августъ 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.